ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომის

ო ქ მ ი N 27

12 ივლისი , 2024 წელი, 16:00 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქი ქუთაისი,რუსთაველის გამზირი N3,
ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის მე–2
სართულზე არსებული საკონფერენციო დარბაზი

ფრაქციის სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: ნიჟარაძე მარეხი,შენგელია ირაკლი, ბასილაძე გია,ჩიხლაძე მანანა, სიმონიძე მაია, მამასახლისი ზაქრო,მახარაძე ბაქარი, ლილუაშვილი პაატა, ხამაშურიძე ბესიკი, ნადირაძე თემური,ბიბილეიშვილი ჯემალი, გიორგაძე მიხეილი,კოპალეიშვილი ამირანი

სულ ესწრებოდა: 13 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ჯუღელი თეა, კოსტავა მაგდა,,რიჟამაძე მამუკა,მხეიძე დიმიტრი

სულ: 4 წევრი.

სხდომაში მონაწილეობდნენ: შპს ''ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის'' დირექტორი ბატონი **ირაკლი ცხვედიანი.**

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მარეხი ნიჟარაძემ.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს**

N27სხდომის დღის

წესრიგის პროექტის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარეხი ნიჟარაძემ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ N27 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. შპს ''ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის'' მიერ 2023 წლიდან 2024 წლის ივნისის ჩათვლით გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ბატონი ირაკლი ცხვედიანი

შპს ''ქუთაისის სატრანსპორტო

კომპანიის'' დირექტორი

2.მიმდინარე საკითები

ქალბატონი მარეხი ნიჟარაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' თავჯდომარე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარეხი ნიჟარაძემ ფრაქციის N27 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი-

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია წარადგინა შპს ''ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის'' დირექტორმა ბატონმა **ირაკლი ცხვედიანმა.**

შპს ,,ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის'' დირექტორი ბატონი **ირაკლი ცხვედიანი:**,,წარმოგიდნენთ ინფორმაციას შპს ''ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის'' დირექტორი ბატონი **ირაკლი ცხვედიანი** მიერ 2023 წლიდან 2024 წლის ივნისის ჩათვლით გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

მინდა მოგახსენოთ,რომ 2023 წლის გამნმავლობაში შპს ,,ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ გადაყვანილი მგზავრთა რაოდენობა **8,054,933** კაცს შეადგენს, საიდანაც მთლიანმა შემოსავალმა გაწეული მომსახურებიდან შეადგინა **4,760,908.66** ლარი, აქედან **4,682,047.80** ლარი შიდა საქალაქო მგზავრთა გადაყვანებიდანაა,

იანვარი - 227527,30 ლარი,თებერვალი - 303300,90 ლარი, არტი - 434801,70 ლარი,აპრილი - 391748,70 ლარი,მაისი 428569,20ლარი,ივნისი - 411269,40 ლარი,ივლისი - 349810,20 ლარი,აგვისტო - 311778 ლარი, სექტემბერი - 396958.20 ლარი,ოქტომბერი - 473595.60 ლარი,ნოემბერი - 476965.20 ლარი,დეკემბერი - 475797.60 ლარი,სადაც **1,304,085.20** ლარი შეღავათებს მოიცავს, იანვარი - 49060,05 ლარი,თებერვალი - 66909,65 ლარი, მარტი - 106573,80 ლარი,აპრილი - 99226,50 ლარი,მაისი - 107910,60 ლარი,ივნისი - 105650,10 ლარი,ივლისი - 84269,10 ლარი,აგვისტო - 69 892,20 ლარი, სექტემბერი - 90469.80 ლარი,ოქტომბერი - 158532.90 ლარი,ნოემბერი - 182677.80 ლარი,დეკემბერი - 182912.70 ლარი,

32000 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სატრანსპორტო მომსახურებიდანაა (ააიპ ,,ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის"), ხოლო სარეკლამო ფართის გაქირავებიდან შემოსავალმა **14527,97** ლარი შეადგინა.

2023 წლის განმავლობაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებულმა სუბსიდიამ 4 000 000 ლარი შეადგინა.
აღნიშნულ პერიოდში დარიცხულმა ხელფასმა ჯამში 3,316,459.28 ლარი შეადგინა, იანვარი - 268175,77ლარი,თებერვალი - 259849.95 ლარი, მარტი - 274053,76 ლარი,აპრილი - 274337,78 ლარი,მაისი - 277642,66 ლარი,ივნისი - 269889,93 ლარი,ივლისი - 279065,20 ლარი,აგვისტო- 270375,33 ლარი, სექტემბერი - 265734,29 ლარი,ოქტომბერი- 277138,35 ლარი,ნოემბერი - 272807,88 ლარი,დეკემბერი - 327388,38 ლარი,

საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის დასაქმებულთა რაოდენობამ ვიზედაც ხელფასი დაირიცხა 217 ერთეული შეადგინა, აქედან მძღოლების რაოდენობა 114-ია, ხოლო პერიოდის ბოლოსთვის დასაქმებულთა რაოდეონობამ 193 ერთეული შეადგინა საიდანც მძღოლი 101-ია.

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში გადახდილმა გადასახადებმა 646434,70 ლარი (საშემოსავლო, დღგ) შეადგინა, ხოლო მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისათვის ნებართვის მოსაკრებელმა 20880 ლარი, შპს ,,აზია სერვისის" მიერ გაწეულმა მომსახურებამ 654,528.35 ლარი შეადგინა, შპს ,,სან პეტროლიუმის" მიერ მოწოდებულმა დიზელის რაოდენობა 1,095,935.67 ლიტრია და მისი ღირებულება 3,062,300.26 ლარს შეადგენს, შპს,,რომპეტროლ საქართველოს" მიერ მოწოდებული ბენზინის ოდენობამ 6215.91 ლიტრი შეადგინა და მისი საფასური 16,337.89 ლარია, კომუნალურმა გადასახადებმა 107,090.30 ლარი შეადგინა

წყალი - 18,619.18 ლარი,

ელ.ენერგია - 80,330.33 ლარი,

ბუნებრივი აირი - 8,140.79 ლარი,

სატრნანსპოტო საშუალებებზე ტექნიკური ინსპექტირების საფასურმა ჯამში 14670 ლარი შეადგინა, შპს

ტრანზიტების ტექნიკურ მომსახურებაზე. შპს ,,ზეტეკს“ 28600 ლარი გადაუხადეთ ავტობუსების სამრერცხაო აპარატების პერიოდულ მომსახურებაზე, შპს ,,ბენვიტადან“ მიკროავტობუსებისათვის შეძენილი 60 ერთეული საბურავის საფასურმა 8640 ლარი შეადგინა (აღნიშნული შესყიდვა კონსოლიდირებული შესყიდვის წესით განხორციელდა), ხოლო 2328 ლარი 12 ცალ საბურავშიგადავიხადეთ, რომელიც შპს ,,ამბოლში“ შევიძინეთ (გადაუდებელი შესყიდვის წესით), ასევე ამ პერიოდში შევიძინეთ შპს ,,კელხერში“ კელხერის სარეცხი აპარატი, რომლის ფასმაც 2800 ლარი შეადგინა, შპს ,,მაგთიკომის“ მიერ ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების ღირებულებამ 4648.34 ლარი შეადგინა, შპს ,,თეგეტა რითეილის“ მომსახურებამ 15089.16 ლარი, რომელიც ძირითადათ მიკროავტობუსების საბურავების შეყრა-განშლასთან დაკავშირებით მომსახურებას გვიწევს და საბურავების გვაწვდის, ასევე კომპანიის თხოვების წესით მერიის მიერ გადმოცემულ ფოლცვაგენ ტიგუანის მიმდინარე რემონტს მოიცავს, ასევე აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის შეკეთებისათვის 650 ლარი გადაუხადეთ შპს ,,ავტო-ლაინ“-ს, 280,80 ლარის სატელეფონო მომსახურება გაგვიწია შპს ,,ტელეკომ 1“-მა, რომელიც ორგანიზაციის ქოლცენტრისთვისაა განკუთვნილი, 1194,20 ლარის საფოსტო მოსახურება გაგვიწია შპს ,,საქართველოს ფოსტა“-მ, 1427.89 ლარი დაიხარჯა სხვადასხვა სახის სარეცხი და საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად შპს ,,მორიკა“-ში, სსიპ ,,სერვისების განვითარების სააგენტო“-მ 4234,02 ლარის ოდენობით მომსახურება გაგვიწია, ხოლო სსიპ ,,ციფრული მმართველობის სააგენტო“-მ 416,29 ლარი, რომელიც დასაჯარიმებელი მგზავრების მონაცემების მოწოდებასთან დაკავშირებით გვიწევს მომსახურებას, ოფისისათვის განკუთვნილი ინტერნეტ მომსახურებაში 3600 ლარი დაიხარჯა, რომლის მოწოდებასაც შპს ,,დატაკომი“ ანხორციელებს, შპს ,,აქვა გეო“-ს 1307,10 ლარის ოდენობით თანხა გადაუხადეთ ოფისისათვის განკუთვნილი სასმელი წყლის და ერთჯერადი ჭიქების მოწოდებაში, 1050 ლარი გადავიხადეთ საინფორმაციო დაფების დამზადებაში, რომლებიც ოფისში განთავსდა, შპს ,,მირა“-ში შევისყიდეთ 3160 ლარის ღირებულების დენის მარეგულირებელი დანადგარი, რომელიც ავტობუსების სარეცხი დანადგარისათვის შევიძინეთ, რათა მომხდარიყო დანადგარის შეუფერხებელი და უსაფრთხო ექსპლოატაცია. 14627 ლარი გადავიხადეთ 10 მიკროავტობუსის დაზღვევაში, რომლის მოქმედების ათვლა აგვისტოს თვიდან დაიწყო. აპრილის თვეში შევისყიდეთ 2 ცალი ალკოტესტი, რომლის მოწოდება განახორციელა შპს ,,რაცია.ჯი“-მ აღნიშნული აპარატების შესყიდვის აუცილებლობა აუდიტის რეკომენდაციის საფუძველზე მოხდა, რათა მომხდარიყო სისტემატიურად ხაზზე გამსვლელი მძღოლების გადამოწმება. მაისის თვეში მოვახდინეთ ელექტრონული აღრიცხვის ტაბელის შესყიდვა 2018,50 ლარად ი/მ მაია გოგიშვილიდან, აღნიშნული აპარატის მონტაჟი და ექსპლოატაციაში შესვლა განხორციელდა 2023 წლის ივნისის თვიდან და აღნიშნული აპარატის საშუალებით ხდება ნამუშევარი საათების დათვლა, კონტროლი და ხელფასების გაანგარიშება. ასევე მაისის თვეში მოვახდინეთ 50 ცალი საოფისე სკამის შეძენა 2825 ლარად კონსოლიდირებული შესყიდვის წესით. ამ პერიოდში სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს გადაუხადეთ 1084.22 ლარის ოდენობით აუქციონის გამოცხადების საფასური. 1300 ლარი გადაუხადეთ შპს ,,ავტოდახმარება ჯუბას“ ფორდის მიკროავტობუსების ქუთაისიდან თბილისში შპს ,,ჯი თი მოტორსში“ გადაყვანისათვის, 7400 ლარი გადავიხადეთ სსიპ ლევან სამსახარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ავტობუსებზე სარეკლამპო ფართის იჯარით გაცემის საფასურის დადგენისათვის, სულ ხარჯმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 4,126,805.73 ლარი.

საფინანსო სამსახური პერიოდულად ახდენს საწყობის ნაშთების დათვლას, ფაქტიური და ბუღალტრული ნაშთების შედარებას და შესასყიდი მარაგების პერიოდულად შევსებას. ასევე ვახორციელებთ შესასყიდი მასალების და მომსახურების ფასების კონტროლს. მუდმივად ვახორციელებთ კომპანიის სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტებზე და პერიოდულ მომსახურებაზე გამოწერილი სამუშაოს შესრულების აქტების და ფინანსური დოკუმენტების შედარებას. ყოველი თვის 15 რიცხვამდე ვახდენთ საშემოსავლო, მოგების და დღგ-ს დეკლარაციების შევსებას და გადაგზავნას საგადასახადო სამსახურში კანონის შესაბამისად.

საშუალებას იძლევა ძალიან ოპერატიულად და მოქნილად მოვახდინოთ კომპანიის ნაშთების მონიტორინგი. 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში შპს ,,ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" მთლიანმა შემოსავალმა 2,560,352,40 ლარი შეადგინა, საიდანაც მუნიციპალური ტრანსპორტით გადაყვანებიდან შემოსავალი 2,525,021,80 ლარია, ხოლო გადაყვანილი მგზავრთა რაოდენობა **4,204,152** კაცს შეადგენს.

იანვარი - **388988,2** ლარი, საიდანაც 144719,2 იყო შეღავათი ხოლო 244 268,7 გადახდილი ღირებულება **650,879** კაცი.
თებერვალი - **427734,60** ლარი, საიდანაც 173 611,50 იყო შეღავათი ხოლო 254 123,1 გადახდილი ღირებულება **712,829** კაცი.
მარტი - **449025,00** ლარი, საიდანაც 182 158,5 იყო შეღავათი ხოლო 266865,5 გადახდილი ღირებულება **747,868** კაცი.
აპრილი - **467897,40** ლარი, საიდანაც 193 521,6 იყო შეღავათი ხოლო 274 375,8 გადახდილი ღირებულება **779,829** კაცი.
მაისი - **398860,20** ლარი, საიდანაც 160888,8 იყო შეღავათი ხოლო 237 971,4 გადახდილი ღირებულება **664,767** კაცი.
ივნისი - **392516,40** ლარი, საიდანაც 152 140,8 იყო შეღავათი ხოლო 240 375,6 გადახდილი ღირებულება **647,980** კაცი.
შეღავათების ჯამური მოცულობაა **1007040,70** ლარი .
16271,16 ლარი სატრანსპორტო მომსახურებიდანაა (ააიპ ,,ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის"), ხოლო სარეკლამო ფართის გაქირავებიდან შემოსავალმა **19059,44** ლარი შეადგინა.

2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებულმა სუბსიდიამ 2.020.000 ლარი შეადგინა.
აღნიშნულ პერიოდში დარიცხულმა ხელფასმა ჯამში **1.831.558,10** ლარი შეადგინა,
იანვარი - **299,100.74** ლარი,
თებერვალი - **298,921.91** ლარი,
მარტი - **305,534.80** ლარი,
აპრილი - **345.282,56** ლარი,
მაისი - **298.265,66** ლარი,
ივნისი - **284452,43** ლარი, საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის დასაქმებულთა რაოდენობამ ვიზედაც ხელფასი დაირიცხა 195 ერთეული შეადგინა, აქედან მძღოლების რაოდენობა 101-ია, ხოლო პერიოდის ბოლოსთვის დასაქმებულთა რაოდეონობამ 195 ერთეული შეადგინა საიდანც მძღოლი 102-ია.
საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში გადახდილმა გადასახადებმა **311,000** ლარი (საშემოსავლო, დღგ) შეადგინა, ხოლო მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისათვის ნებართვის მოსაკრებელმა **10440** ლარი, შპს ,,აზია სერვისის" მიერ გაწეულმა მომსახურებამ **516438,20** ლარი შეადგინა, შპს ,,სან პეტროლიუმის" მიერ მოწოდებულმა დიზელის რაოდენობა 508638,66 ლიტრია და მისი ღირებულება **1415302** ლარს შეადგენს, შპს,,რომპეტროლ საქართველოს" მიერ მოწოდებული ბენზინის ოდენობამ 3520 ლიტრი შეადგინა და მისი საფასური **9312.95** ლარია, კომუნალურმა გადასახადებმა **48147.74** ლარი შეადგინა
წყალი - **9789.84**ლარი,
ელ.ენერგია - **31942.73** ლარი,
ბუნებრივი აირი - **6415.17** ლარი,
სატრნანსპოტო საშუალებებზე ტექნიკური ინსპექტირების საფასურმა ჯამში **7040.00** ლარი შეადგინა, შპს ,,ჯითი მოტორსზე" გადახდილი თანხა **59083.65** ლარია, რომელიც მომსახურებას გვიწევს ფორდ ტრანზიტების ტექნიკურ მომსახურებაზე. შპს ,,ზეტეკს" **13600.00** ლარი გადაუხადეთ ავტობუსების სამრერცხაო აპარატეპის პერიოდულ მომსახურებაზე, შპს ,,მაგთიკომის" მიერ ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების ღირებულებამ **3050.53** ლარი შეადგინა, შპს ,,თეგეტა რითეილის" მომსახურებამ **25862.60** ლარი, რომელიც ძირითადათ მიკროავტობუსების საბურავების შეყრა-განშლასთან დაკავშირებით მომსახურებას გვიწევს და საბურავების გვაწვდის, სატელეფონო მომსახურება გაგვიწია შპს ,,ტელეკომ 1"-მა, რომელიც ორგანიზაციის ქოლცენტრისთვისაა განკუთვნილი, **117.00** ლარის საფოსტო მოსახურება გაგვიწია შპს ,,საქართველოს ფოსტა"-მ, **210.00** ლარი, სსიპ ,,სერვისების განვითარების სააგენტო"-მ **833.38** ლარის ოდენობით მომსახურება გაგვიწია, ხოლო სსიპ ,,ციფრული მმართველობის სააგენტო"-მ **76.36** ლარი, რომელიც დასაჯარიმებელი მგზავრების მონაცემების მოწოდებასთან დაკავშირებით გვიწევს მომსახურებას, ოფისისათვის განკუთვნილი ინტერნეტ მომსახურებაში **1800** ლარი დაიხარჯა, რომლის მოწოდებასაც შპს ,,დატაკომი" ანხორციელებს, შპს ,,აქვა გეო"-ს **736.20** ლარის ოდენობით თანხა გადაუხადეთ ოფისისათვის განკუთვნილი სასმელი

პერიოდში სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს გადაუხადეთ **314.97** ლარის ოდენობით აუქციონის გამოცხადების საფასური. **3000** ლარი გადაუხადეთ შპს ,,ავტოდახმარება ჯუბას" ფორდის მიკროავტობუსების ქუთაისიდან თბილისში შპს ,,ჯი თი მოტორსში" გადაყვანისათვის, სხვადასხვა სარეცხი საშუალებებისათვის შპს ,,ვესტ ჰორეკა ჯგუფში" **705,50** ლარი გადავიხადეთ, შპს ,,HANSA-FLEX Georgien"-ში შევიძინეთ **333.00** ლარი ღირებულების კომპრესორისათვის განკუთვნილი წვრილმანი სათადარიგო ნაწილები, სხვადასხვა სამუშაოესათვის საჭირო სამუშაო იარაღების შესაშენად შპს ,,გოგე და კომპანიში" **4580.40** ლარი გადავიხადეთ, 2024 წლის იანვრის თვეში მგზავრთა მონიტორინგის სპეციალისტებისათვის შპს ,,ჯორჯიან ინოვეიშენ ტექლოჯიდან" 5 ცალი სამხრე კამერ შევისყიდეთ. შპს ,,ბორან ლაით"-ში შევიძინეთ ტექნიკური სამსახურსათვის განკუთვნილი ჰაერის კომპრესორი, შედუღების აპარატი და ჰარის ქანჩგასაღები თავისი დამხმარე ნაწილებით, რომელში **6815.89** ლარი გადავიხადეთ, **1200.00** ლარი გადავიხადეთ შპს მასა-ში ავტობუსებისთვის განკუთვნილი ნათურების შესაძენად, **395.00** ლარი გადაუხადეთ შპს ,,მედინიუსს" სხვადასხვა სახის სამედიცინო ხელსაწყობის შეძენაში, **348.40** ლარი გადავიხადეთ შპს ,,მაიპისში" ფერადი პრინტერით მომსახურებაშიდა საკანცელარიო ნივთებში, მამუკა ჭოლაძე **150** ლარის ღირებულების სპეციალური აღრიცხვის წიგნი შეუკვეთეთ მგზავრთა მონიტრინგის სამსახურისთვის და ადმინისტრაციის შემოსული და გასული წერილების აღრიცხვის წიგნებში. სულ ხარჯმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა **2,160,785.46** ლარი.

საფინანსო სამსახური პერიოდულად ახდენს საწყობის ნაშთების დათვლას, ფაქტიური და ბუღალტრული ნაშთების შედარებას და შესასყიდი მარაგების პერიოდულად შევსებას. ასევე ვახორციელებთ შესასყიდი მასალების და მომსახურების ფასების კონტროლს. მუდმივად ვახორციელებთ კომპანიის სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტებზე და პერიოდულ მომსახურებაზე გამოწერილი სამუშაოს შესრულების აქტების და ფინანსური დოკუმენტების შედარებას. ყოველი თვის 15 რიცხვამდე ვახდენთ საშემოსავლო, მოგების და დღგ-ს დეკლარაციების შევსებას და გადაგზავნას საგადასახადო სამსახურში კანონის შესაბამისად. შემჭიდროვებულ ვადებში ვახორციელებთ ბუღალტრულ გატარებებს ორისის პროგრამაში, რაც საშუალებას იძლევა ძალიან ოპერატიულად და მოქნილად მოვახდინოთ კომპანიის ნაშთების მონიტორინგი.

ვახდენთ ყოველი თვის მომავალი თვის 15 რიცხვამდე შესყიდული საწვავების და შესაპოხი მასალების აღრიცხვას, კონტროლს და ჩამოწერას გარბენილი კილომეტრაჟის მიხედვით. მონიტორინგს ვახდენთ ყოველდღიურად სატრანსპორტო საშუალებებში საწვავის შევსებას, რათა არ მოხდეს დადგენილი წესის დარვევა.

შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების თანამშრომლების მიერ **2023 წლის 23 იანვრიდან** ქალაქ ქუთაისის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე დაიწყო, მოქალაქეების მიერ მგზავრობის საფასურის გადაუხდელობის გამო დაჯარიმება.

საკრებულოს დადგენილების საფუძველზე კომპანიის მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტების მიერ **2023 წლის** განმავლობაში გადამოწმებული იქნა **285 245** მოქალაქე, მოქალაქეების მიერ მგზავრობის ღირებულების საფასურის გადაუხდელობის გამო, სულ შედგენილი იქნა ელექტრონული საჯარიმო ქვითარი **4660** პირის

ჯარიმები - 4660

ვადაგადაცილებული - 26

აღსრულებაში - 908

შეჩერებული - 6

გაუქმებული - 33

გადახდილი - 3685

დროულად გადახდილი - 2630

დაგვიანებით გადახდილი - 212

აღსულებით გადახდილი - 843

ბიუჯეტში გადახდილია - 115 900 ლარი

განყოფილების ხელმძღვანელობის მიერ სისტემატიურ კონტროლზეა აყვანილი მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვანი შესრულება, კერძოდ სპეციალისტების მხრიდან თავაზიანობა, დისციპლინურობა, პუნქტუალობა, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, კომუნიკაბელურობა, გუნდური მუშაობის უნარი, კომპანიის მიერ დამტკიცებული უნიფორმის ჩაცმულობა, საშემსრულებლო დისციპლინის დაცვა, სამსახურში ფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება.

საკრებულოს დადგენილების საფუძველზე კომპანიის მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტების მიერ **2024 წლის** განმავლობაში გადამოწმებული იქნა **191969** მოქალაქე, მოქალაქეების მიერ მგზავრობის ღირებულების საფასურის გადაუხდელობის გამო, სულ შედგენილი იქნა ელექტრონული საჯარიმო ქვითარი 473 პირის მიმართ.

ჯარიმები - 473

ვადაგადაცილებული - 20

აღსრულებაში - 99

შეჩერებული - 4

გაუქმებული - 2

მიმდინარე - 140

გადახდილი - 327

დროულად გადახდილი - 274

დაგვიანებით გადახდილი - 14

სპეციალისტების მიერ დისციპლინის გადაცდომის გამო საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა დისციპლინარული სასჯელი დაეკისრა.

საანგარიშო პერიოდში განხილული იქნა მოქალაქეების საჩივრები, რაზედაც გატარებული იქნა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, ჩვენს მიერ სისტემატურად ტარდება სამუშაო თათბირები და ტრეინინგები სპეციალისტების დისციპლინის ამაღლების მიზნით. ასევე აღსანიშნავია, ისიც, რომ ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით ხდება მოქალაქეების გადინება, რაც აისახება მგზავრთნაკადზე, რის გამოც იკლო ჯარიმების ოდენობამ.

ვატარებთ სისტემატურ ყოველდღიურ ღონისძიებებს განყოფილების მიერ მუშაობის მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით.

შპს ,,ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიას“ 2021 წლის მანძილზე ეტაპობრივად გამდოეცა სატრანპორტო საშუალებები ჯამში 60 ერთეული ოტოკარის ტიპის კენტისა და ნავიგოს მოდელის ავტობუსები

ავტობუსების გადმოცემის პარალელურად კომპანიამ დაიწყო მგზავრთა მომსახურება შემდეგ სვლაგეზებზე: 1L;1R; N25, ხოლო 2021 წლის 1 მარტის მდგომარეობით ვემსახურებოდით 10 სვლაგეზზს 57 ავტობუსით კერძოდ:

- N 1L-7 ერთეული ავტობუსით
- N 1R-5 ერთეული ავტობუსით
- N 3-2 ერთეული ავტობუსით
- N 4- 8 ერთეული ავტობუსით
- N 5-4 ერთეული ავტობუსით
- N 6-2 ერთეული ავტობუსით
- N 10-3 ერთეული ავტობუსით
- N 19-5 ერთეული ავტობუსით
- N 20-5 ერთეული ავტობუსით
- N 25-4 ერთეული ავტობუსით
- N 31-5 ერთეული ავტობუსით
- N 41-2 ერთეული ავტობუსით
- N 47- 4 ერთეული ავტობუსით

56

- N 106- 1 ერთეული მიკროავტობუსით
- N 110- 1 ერთეული მიკროავტობუსით
- N 111- 1 ერთეული მიკროავტობუსით
- N 112- 1 ერთეული მიკროავტობუსით
- N 114- 1 ერთეული მიკროავტობუსით
- N 118- 1 ერთეული მიკროავტობუსით
- N 126- 1 ერთეული მიკროავტობუსით
- N 133- 1 ერთეული მიკროავტობუსით
- N 141- 1 ერთეული მიკროავტობუსით

9

ექსპლოატაციის სამსახური ხელმძღვანელის სახით ხელმძღვანელობას უწევს სადისპეტჩერო განყოფილებას და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და საავარიო განყოფილებას.

სადისპეტჩერო განყოფილება განყოფილების უფროსისა და 5 დისპეტჩერის საშუალებით არეგულირებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობას საკრებულოს მიერ დამტკიცებული სამარშრუტო სქემების მიხედვით, დისპეტჩერები ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ მომგეიენო ფოისთვის მძოოლებისა და შესაბამისად სატრანსპორტო

საშუალებების განაწილებას სვლაგეზებზე და მძღოლების გადაფრთხილებას ტელეფონის საშუალებით. ელექტრონული პროგრამის საშუალებით ახორციელებენ სვლაგეზებზე მოძრაობისა და გრაფიკების დაცვის მონიტორინგს და არეგულირებენ მოძრაობას მძღოლებთან კონტაქტში. მუშაობის პროცესში წარმოქმნილი სხვადასხვა სახის ტექნიკური შეფერხებების შემთხვევაში ტექნიკურ სამსახურთან კონტაქტში ახდენენ ცვლილებებს ისე რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული სვლაგეზებზე მოძრაობის გრაფიკები.

მხოლოდ 2023 წელს სვლაგეზებზე სატრანსპორტო საშუალებები სამუშაოდ გავიდა 13780 ჯერ

საანგარიშო პერიოდში მძღოლების მხრიდან სხვადასხვა დარღვევებზე განყოფილების თანამშრომლების მიერ წარმოდგენილი იქნა 15 მოხსენებითი ბარათი და დამრღვევ მძღოლებს ჩამოერთვათ ახსნა განმარტებები წერილობით, რომლებიც განხილულ იქნა დიციპლინარულ კომისიაზე.

მოძრაობის უსაფრთხოებისა და საავარიო განყოფილება საწარმოში ახლად მიღებულ მძღოლებს უტარებს ინსტრუქტაჟს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე, აგრეთვე სვლაგეზების მიხედვით საგზაო ინფრასტრუქტურის პირობების გაცნობით, ატარებს სათანადო მუშაობას შესაძლებლობის ფარგლებში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რისკების შემცირების თაობაზე, პერიოდულად ახდენს კომპანიის მძღოლების მართვის მოწმობების შემოწმებას.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისას განყოფილების თანამშრომლები გადიან შემთხვევის ადგილზე, აცნობებენ საპატრულო პოლიციას და კომპანიის ხელმძღვანელობას მომხდარის შესახებ, ადგენენ შებამის დოკუმენტაციას, ახდენენ მძღოლების მხრიდან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებისა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღრიცხვას. 2023 წელს დაფიქსირდა 99 ერთეული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა ხოლო 2024 წელს 74 ერთეული საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა.

მოგახსენებთ, რომ ჩვენი სამსახურის მიერ რეგულარულად ხორციელდება ავტობუსებში დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერების შემოწმება გამართულობაზე. ასევე მოწმდება ავტობუსში დამონტაჟებული სარეკლამო/საინფორმაციო მონიტორის მუშაობა რომლებზეც გადის ჩვენი კომპანისს სხვადასხვა სახის საინფორმაციო რგოლები. რაიმე ხარვეზის შემთხვევაში ხდება შესაბამისი განყოფილების ინფორმირება რათა იქნას აღმოფხვრილი ყველა ხარვეზი.

2022 წლის სექტემბრის თვეში მოხდა კომპიუტერული ტექნიკის შეძენა და მონტაჟი, ასევე ამ პერიოდში დავნერგეთ კომპანიის ქოლ ცენტრი ასევე 2023 წლის ივნისის თვეში დავნერგეთ და გავმართეთ ელექტრონლი დაშვების სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ელექტრონული ბარათების მეშვეობით ვაკონტროლოთ თანამშრომლების სამსახურში გამოცხადების (გამოუცხადებლობის) ინტენსივობა და ორგანიზაციაში ნამუშევარი საათების აღრიცხვა მოხდეს ელექტრონულად. ყოველდღიურად ხდება ამ სისტემების შემოწმება გამართულობაზე და რაიმე ხარვეზის შემთხვევაში მყისიერი აღმოფხვრა.

ჩვენი სამსახურის მიერ ასევე მიმდინარეობს ოფისის პერიმეტრზე დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერების კონტროლი გამართულობაზე და რაიმე დაზიანების შემთხვევაში მათი აღმოფხვრა.

2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის ქოლცენტრის ორივე ოპერატორთან შემოსულია სულ 2416 ზარი.

შპს ''ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის'' ფეისბუქგვერდზე 2023 და 2024 წელს შემოსულია სულ 826 შეტყობინება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებული, 2023 წლის 13 აპრილის, შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" გეგმიურ, სისტემურ, ფინანსურ და შესაბამისობის შიდა აუდიტორული დასკვნით მოცემული რეკომენდაციის საფუძველზე, ივნისის თვეში კომპანიაში დამტკიცდა დისციპლინური გადაცდომების გამოვლენისა და მათზე რეაგირების წესი და შესაბამისი კომისია შეიქმნა, ასევე მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების თანამშრომელთა (კონტროლიორთა) ქცევის წესი და თანამშრომელთა მიღების წესი.
დამტკიცდა ახალი შინაგანაწესი და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები.
დისციპლინური გადაცდომების გამოვლენისა და მათზე რეაგირების კომისიის მიერ 2023 წლის 12 ივნისიდან დღემდე განხილული იქნა სულ 26 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, საიდანაც 8 თანამშრომელს გამოეცხადა საყვედური, 11 სიტყვიერი გაფრთხილება, 3 გაცდენილი საათები ჩაეთვალად საპატიოდ, 2 ჩამოშორებული იქნა სამსახურს 10 დღით, 1 გათავისუფლებული იქნა სამსახურიდან უხეში დარღვევის გამო.''

დაისვა შეკითხვები,გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** თქვენი გუნდის ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობა არის სწორედ გარანტი იმისა,რომ მივაღწიოთ იმ შედეგს,რომელიც გვახარებს თითოეულ ჩვენგანს. მაქვს რამოდენიმე კითხვა, პირველი რაც მაინტერესებს მძღოლების ხელფასის შესახებ რას მეტყვით?''

შპს ''ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის'' დირექტორი ბატონი **ირაკლი ცხვედიანი:** ,,

,,რაც შეეხება ხელფასის თემას, ხელზე ასაღები თანხა 14 სამუშაო დღეზე შეადგენს 1100ლარს. თუ კი დამატებით იმუშავებს ხელფასიც შესაბამისად იზრდება.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბატონი **ზაქრო მამასახლისი: ,,** გაქვთ თუ არა საშტატო ცვლილება,რაც გამოწვეული იქნება მოსამსახურე პერსონალის

შპს ''ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის'' დირექტორი ბატონი **ირაკლი ცხვედიანი:** „ადმინისტრაციულ შტატში ცვლილება არ გვაქვს, ცვლილება შეეხებოდა კონტროლიორებს,რადგან აღნიშნულ პოზიციებზე მსურველები ფიზიკურად არ იყო .გვქონდა 25 შტატი,თუმცა 13-14 ადამიანზე მეტს სურვილი არ გამოუთქვამს,დღეის მდგომარეობით გვყავს 102 თანამშრომელი.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი **ირაკლი შენგელია:** „მინდა მადლობა გადავუხადო მუნიციპალური ტრანსპორტის ხელმძღვანელს,არსებული რესურსის გათვალისწინებით,,მუნიციპალური ტრანსპორტი მკაფიოდ პასუხობს იმ გამოწვევებს,რაც ქალაქს გააჩნია. ჩვენს მოქალაქეებს ძალზედ გამართულად და ხარისხიანად ემსახურებით დღემდე.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი **გია ბასილაძე :** ,,საინტერესოა წლის განმავლობაში სარეკლამო მომსახურებიდან შემოსული თანხის რაოდენობა. ''

შპს ''ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის'' დირექტორი ბატონი **ირაკლი ცხვედიანი: „**რაც შეეხება შემოსულ თანხებს 2023 წლის აგვისტოს დასაწყისიდან შემოვიდა 14000ლარი,ხოლო 2024 წელს დაახლოებით 2700 ლარი გვაქვს შემოტანილი.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ბატონი იუზა უგულავა :„** ჩვენ წელს ავიღეთ სამინისტროს ფუნქცია და რადგან იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება საჭირო 5 სკოლას მოვემსახურეთ.დაახლოებით 300000ლარზე მეტი დაჯდა.''

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" ოცდამეშვიდე სხდომამ მუშაობა დაასრულა და ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე შ. ნიჟარაძე